საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭოს
2017 წლის 19 სექტემბრის
დადგენილება №2549

სასწავლო კურსის (საგნის) კოდის
მინიჭების წესის შესახებ

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო ადგენს:

1. მოწონებულ იქნეს სასწავლო კურსის (საგნის) კოდის მინიჭების წარმოდგენილი წესი (თან ერთვის);
2. უნივერსიტეტის ფაკულტეტების დეკანებმა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების უფროსებმა მიმდინარე წლის 29 სექტემბრამდე უნივერსიტეტის ხარისხის სამსახურში წარმოადგინონ წინადადებები ამ დადგენილების პირველი პუნქტით განსაზღვრული წესის პირველ დანართში მოცემულ სფეროებთან და ქვესფეროებთან დაკავშირებით. წინადადებები შესაძლებელია შეეხოს მხოლოდ ჩამონათვალში არსებული სფეროების ამოღებას ან/და გამოუყენებელი სფეროების დამატებას, აგრეთვე, ქვესფეროების გაერთიანებას ან/და გაყოფას ფაკულტეტებზე არსებული და მომავალში დაგეგმილი საგანმანათლებლო პროგრამებისა და საგნების სპეციფიკისა და რაოდენობის შესაბამისად;
3. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა (გ. ძიძიგური) მიმდინარე წლის 16 ოქტომბრამდე უზრუნველყოს სასწავლო კურსის (საგნის) კოდის მინიჭების წესის საბოლოო რედაქციის მომზადება ფაკულტეტებიდან წარმოდგენილი წინადადებების საფუძველზე და დასამტკიცებლად წარმოდგენა;
4. კონტროლი დადგენილების შესრულებაზე დაევალოს უნივერსიტეტის ვიცე-რექტორს, ბატონ ლევან კლიმიაშვილს;
5. დადგენილება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე ა. ფრანგიშვილი

აკადემიური საბჭოს მდივანი გ. სალუქვაძე